პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 142 (9303)
23 ივლისი, ოთხშაბათი, 1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა კეთილი ნების თამაშების მონაწილე საბჭოთა სპორტსმენებს

21 ივლისს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებთან — კეთილი ნების ასპარეზობის გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან.

თავის მისალმებაში მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ კეთილი ნების ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, მსოფლიოს სპორტული მოძრაობის დიდი მოვლენა გახდა. იგი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საერთაშორისო სპორტულ კალენდარში, ვინაიდან ასპარეზობის დაბადებამ გამოხატა დროის მოთხოვნა, მშვიდობიანად და თანხმობით ცხოვრების მოსურნე ხალხების კეთილი ნება. სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტული ორგანიზაციების, საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრიობის ინიციატივამ კეთილი ნების ასპარეზობის მოწყობის თაობაზე მთლიანად გაამართლა და აქტიური მხარდაჭერა ჰპოვა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. უძლიერესი ათლეტებისათვის ასპარეზობა იქცა ჩინებულ შესაძლებლობად მოესინჯათ ძალა ოლიმპიური ასპარეზობის შუაგზაზე.

ასპარეზობა გახდა კიდევ ერთი ნაბიჯი ხალხთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების გზაზე, იგი იქცა მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე ახალგაზრდობის თანამშრომლობისა და ინტერნაციონალური ერთიანობის მაგალითად. მ. ს. გორბაჩოვმა გულითადად მიულოცა საბჭოთა სპორტსმენებს წარმატებული გამოსვლა ასპარეზობაზე, უსურვა მათ ახალი წარმატებები სპორტში, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, გადაუხადა მადლობა სტუმართმოყვარეობისა და სითბოსათვის, რაც მათ საზღვარგარეთელი სპორტსმენების მიმართ გამოიჩინეს.

შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები. ასეთი ფართო წარმომადგენლობა მოწმობს, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი, ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ყურადღების საგანი გახდა. ამასთან ხაზგასმით ითქვა, რომ საჭიროა კეთილი ნების ასპარეზობის გამოყენება მთელი ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის აქტივიზაციისათვის, მეტადრე შრომითს კოლექტივებში, მოსახლეობის საცხოვრებელი და დასასვენებელი ადგილის მიხედვით.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ვ. გრამოვი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. ნ. ბუბკა, სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ო. ი. კრივოშეევა, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. ი. არკაევი, რომლებმაც გააკეთეს ინფორმაცია შეჯიბრების შედეგების შესახებ, გამოთქვეს შთაბეჭდილებები სპორტული ბრძოლის მიმდინარეობის, საზღვარგარეთელ თანატოლებთან შეხვედრების თაობაზე. მათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვეს, რომ საბჭოთა სპორტსმენები კვლავაც იქნებიან საერთაშორისო სპორტული მოძრაობის აქტიური მონაწილენი, კონკრეტული საქმეებით შეასხამენ ხორცს კეთილი ნების ასპარეზობის დევიზს — „სპორტში მეგობრობიდან — ქვეყნად მშვიდობისაკენ“.

შეხვედრამ უაღრესად თბილ და გულითად ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. მირონენკო.

(საკდესი).

როგორც გუშინ ელვა-ინფორმაციით გაუწყეთ, მოსკოვში, მეხტენდურეთა საკავშირო ჩემპიონატში აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვეს საქართველოს მრგვალ სტენდზე მსროლელებმა, რომლებმაც პირადი და გუნდური პირველობის ოქროს მედლები დაისაკუთრეს. თბილისში დაბრუნებისთანავე სპორტსმენები რედაქციაში გვეწვივნენ, ეს ფოტოსურათი ჩვენმა კორესპონდენტმა ჯემალ კასრაძემ სწორედ რედაქციის კიბეზე გადაუღო გამარჯვებულთა სამეულს. მარცხნიდან: თამაზ იმნაიშვილი, გია შენგელია და დავით ქვათაძე.

ბრწყინვალე „დუბლი“

„დუბლი“ გააკეთაო, იტყვიან. ხოლმე რომელიმე გუნდზე თუ ცალკეულ სპორტსმენზე. სპორტში დამკვიდრებული ამ ტერმინის მნიშვნელობა ყველა გულშემატკივარმა იცის: იგი ერთ სეზონში ჩემპიონობისა და თასის მოპოვებას ნიშნავს. სწორედ ასეთ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა მრგვალ სტენდზე მსროლელებმა. ალბათ გახსოვთ, საქართველოს გუნდის წევრებმა, კერძოდ თამაზ იმნაიშვილმა, გია შენგელიამ და დავით ქვათაძემ აპრილში ოდესაში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში გაიმარჯვეს, ახლა კი, რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში ამ ჯილდოს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულებიც მიუმატეს.

წლეულს სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი გახდა ჩვენი გუნდისა და ქვეყნის პირველი ნაკრების ლიდერი თამაზ იმნაიშვილი, რომელსაც მოსკოვში პირად შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყოლია.

როდესაც ერთი და იგივე გუნდი ორ ერთმანეთზე მნიშვნელოვან საკავშირო ასპარეზობაში იმარჯვებს, მის უდავო უპირატესობაში ეჭვი აღარ უნდა შეგვეპაროს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენმა მსროლელებმა მოსკოვში მეტად ძნელი და, ამდენად, მეტად საპატიო გამარჯვება მოიპოვეს. სწორედ ამის

იხ. მე-4 გვ.



ნვალ საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან ძიუდოისტები. კიევში გამგზავრების წინ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს. ინტერვიუს და ფოტორეპორტაჟს გთავაზობთ „ლელოს“ დღევანდელ ნომერში.

იხ. მე-2 გვ.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

დასკვნითი შეხვედრა დარჩა

მინსკი. 22 ივლისი (ტელეფონით). სასპარტაკიადო შეჯიბრების დასკვნითი, V ტურის შეხვედრების წინ მოჭადრაკეებმა დაამთავრეს გადადებული პარტიები.

რსფსრ — საქართველოს გუნდების მატჩში გადადებული პარტია წააგო გ. გიორგაძემ. შეხვედრის საერთო ანგარიშია 3,5:1,5 რუსეთის ფედერაციის გუნდის სასარგებლოდ.

ლენინგრადის გუნდთან ორ გადადებულ პარტიაში ჩვენმა მოჭადრაკეებმა ქულა-ნახევარი მოაგროვეს (მოიგო გ. ბაღათუროვმა, აყაიმი გ. გიორგაძე) და მატჩი აყაიმით დამთავრდა (2,5:2,5).

4 ტურის შემდეგ ვაჟთა ფინალურ ტურნირში ასეთი მდგომარეობაა: რსფსრ — 11,5 ქულა, უკრაინა — 10,5, მოსკოვი — 10, ლენინგრადი, ლიტვა — 9,5-9,5, საქართველო — 9.

V ტურში საქართველოს გუნდი შეხვდება ლიტვის ნაკრებს.

ხალიჩაზე არიან „კლასიკოსები“

ორდღიანი შესვენების შემდეგ მინსკის სპორტის სასახლეში განახლდა მოჭიდავეთა სასპარტაკიადო ტურნირი. ამჯერად ხალიჩაზე გამოვიდნენ კლასიკური სტილის ფალავნები. საქართველოს ნაკრები მინსკში ასეთი შემადგენლობით ასპარეზობს: კობა გულიაშვილი (57 კგ), ვასილ ონიანი (62), მამუკა გიგაური (68), ჯემალ ბაკურიძე (74), ბესიკ აფციაური (82), ზაურ ივანიშვილი, იაგო ხუნაშვილი (ორივე — 90), გურამ შონია (100), ვასილ ქარსელაძე და მათე სვანიძე (ორივე — 130). როგორც ხედავთ, უმჩატეს წონაში ჩვენს რესპუბლიკას წარმომადგენელი არა ჰყავს, სამაგიეროდ 90 და 100 კგ წონით კატეგორიებში ორ-ორი ქართველი მოჭიდავე გამოდის.

გუშინ დილით წინასწარ შეხვედრებში ჩაებნენ 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონის ათლეტები.

ყველაზე მჩატე წონაში (48 კგ) საქართველოს მონაწილე არ გამოჰყავს, ამიტომ ამ კატეგორიაზე ყურადღებას არ ვამახვილებთ.

57 კგ. კობა გულიაშვილმა ჩაატარა ორი შეხვედრა. პირველ წრეში დამარცხდა სომხეთის წარმომადგენელ არარატ მოვსესიანთან (ქულების შეფარდება — 5:8), მეორე წრეში მან აქტიურად იჭიდავა და მეტოქე ვლადიმერ გრიგორიანი (თურქმენეთი) 3 წუთსა და 44 წამში პასიურობისთვის მოხსნეს.

68 კგ. სუსტად იასპარეზა მამუკა გიგაურმა. ორი წრის შემდეგ იგი შეჯიბრებას გამოეთიშა. პირველ წრეში რსფსრ-ს გუნდის წევრთან მიხეილ ელიზაროვთან წმინდად დამარცხდა (3 წ. 36 წამი), მეორეში კი ბრძოლა ლევონ ჯულფალაკიანთან (სომხეთი) დათმო.

82 კგ. ბესიკ აფციაური პირველ წრეში პასიურობისთვის მოხსნეს (მოსკოვის არმიელ ალექსეი სავინკინთან აგებდა ბრძოლას ანგარიშით 2:7), სამაგიეროდ მეორე წრეში უკრაინელ ვიქტორ სირიცას 15 ქულა აართვა (სირიცას მხოლოდ 5 ქულა ჰქონდა), მერე კი მსაჯებმა შეწყვიტეს ბრძოლა და უკრაინელს პასიურობისათვის დამარცხება ჩაუთვლეს.

100 კგ. გურამ შონიამ პირველი ბრძოლა მინსკელ სერგეი დემიაშკევიჩს დამაჯერებლად მოუგო — 7:2, მეორე წრეში კი ფიზიკურად ძლიერ ესტონელს სერგეი ფედოროვს შეხვდა და თავად დამარცხდა (4:7).

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

ორი გამარჯვება

გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის „ბ“ ფინალური ჯგუფის მატჩები.

თბილისის „შევარდენმა“ პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრაში უმასპინძლა ლვოვის „სოკოლს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 6:0. **თბილისის „ლოკომოტივი“** მოსკოვში ეთამაშა ადგილობრივ „ავტომობილისტს“. აქაც ქართველმა რეგბისტებმა გაიმარჯვეს — 18:6.

პირველი წრე „ლოკომოტივმა“ 15 ქულით დაამთავრა (4 მოგება, 3 წაგება), „შევარდენს“ 13 ქულა აქვს (3 მოგება, 4 წაგება). ახლა ამ ჯგუფის გუნდები ერთ თვეს შეისვენებენ, შემდეგ კი ორწრიანი, მიმოსვლითი ტურნირი რვიდან ამ ოთხ გუნდს გამოავლენს, რომლებიც უმაღლეს ლიგაში ითამაშებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის წინ

იმედი

მოჭიდავეები უკვე შეუდგნენ სასპარტაკიადო ბრძოლებს. ფინალურ შეჯიბრებაში პირველნი თავისუფალი სტილის ფალავნები ჩაებნენ. მინსკში უკვე გამოვლინდნენ სპარტაკიადის პირად და გუნდურ ტურნირში გამარჯვებულები, გუშინ მინსკშივე დაიწყო „კლასიკოსთა" ასპარეზობა, მათგან ესტაფეტას მიიღებენ სამბისტები.

ცოტა დრო დარჩა ძიუდოისტთა შეჯიბრების სტარტამდეც. ძიუდოისტები 24-27 ივლისს კიევში გაითამაშებენ სპარტაკიადის მედლებს (საქართველოს ნაკრები გუშინწინ გაემგზავრა უკრაინის დედაქალაქში). ამ დღეებში ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი გორში დაესწრო ქართველ ფალავანთა ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშს და ესაუბრა გუნდის უფროს მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს დილარ ხაბულიანს.

⊙ წინა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა 238 ქულით გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. გულშემატკივრები, რა თქმა უნდა, კვლავ გამარჯვებას ელიან ქართველი ძიუდოისტებისაგან...

— ჩვენი მიზანიც ეს გახლავთ. პოზიციების შესანარჩუნებლად მძიმე ბრძოლა მოგვიწევს, მაგრამ, ვფიქრობ, გუნდი მზად არის დასახული ამოცანის შესასრულებლად. ჩვენი მთავარი მეტოქე ამჯერადაც რუსეთის ფედერაციის ნაკრები იქნება. ამ გუნდში თითქმის ყვე-



ლა წონით კატეგორიაში ძლიერი, საკმაოდ გამოცდილი მოჭიდავეებია თავმოყრილი: სპორტის დამსახურებული ოსტატი იური მერკულოვი, ბაშირ ვარაევი, იგორ ქუჩკოვი, იგორ კოსმინინი, ანატოლი გალიუკი, იგორ შკარინი... საპრიზო ადგილებს უმიზნებენ მოსკოვის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და უზბეკეთის გუნდებიც.

წინა სპარტაკიადაზე ჩვენმა გუნდმა, შეიძლება ითქვას, შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა. რვა მოჭიდავიდან შვიდმა სხვადასხვა ხარისხის მედალი მოიპოვა და შედეგების შეჯამების შემდეგ ქულათა სარეკორდო რაოდენობა მოგვიგროვდა. ამჯერად გამარჯვებისთვის, ალბათ, 220-225 ქულა მაინც იქნება საჭირო.

⊙ ნაკრების საბოლოო შემადგენლობა უკვე დაზუსტებული გექნებათ?

— როცა სპარტაკიადისთვის მზადებას შევუდექით, ნაკრებში სულ 32 სპორტსმენი გვყავდა. მათ შორის, რა თქმა უნდა, ვერ მოხვდნენ ჩვენი გამოცდილი ძიუდოისტები, რომლებიც ასაკობრივი ლიმიტის გამო სპარტაკიადაზე ვერ გამოვლენ. ძველი შემადგენლობიდან გუნდს მხოლოდ აკაკი კიბორძალიძე შემორჩა. კიბორძალიძე მძიმე წონაში იასპარეზებს. მასთან ერთად ემზადებიან ავთანდილ გუბელაძე და ნუკრი დავითაშვილი. ქვემძიმე წონაში ნაკრების ღირსებას დაიცავს კობა კურტანიძე, რომელსაც კარგად იცნობენ ძიუდოს მოყვარულები. შარშან და წელს კობამ თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვა და თავის წონაში საბჭოთა კავშირის ნაკრების ლიდერი გახდა. 86 კგ წონაში თბილისის საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის პრიზიორის ბორის ფირცხელანის გამოყვანას ვაპირებთ. ქვესაშუალო წონაში იჭიდავებს ენგურ გოგიჩაშვილი, მსუბუქ წონაში კი ალბათ ორ სპორტსმენს გამოვიყვანთ. ესენი არიან ქვეყნის ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონი ლერი ნაკანი და პერსპექტიული ფალავანი ბათო ჯიქური. უმჩატეს წონაშიც ორ მონაწილეს ვამზადებთ: ვახტანგ ჯაფარიძესა და რობერტ ლომთაძეს. რობერტმა თბილისის წლევანდელ საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვა. 65 კგ წონის მოჭიდავე არა გვყავს... მე აქ ათი ძიუდოისტი ჩამოვთვალე, სპარტაკიადაზე კი, როგორც იცით, რვა კაცი გამოვა.

⊙ თუ არ ვცდები, წინა სპარტაკიადისთვის მზადების დროსაც გორში გამართეთ დასკვნითი შეკრება.



— აქ ვარჯიშისა და დასვენების საუკეთესო პირობებს გვიქმნიან, თუმცა ყურადღება არც სხვა ქალაქებსა და რაიონებში მოგვკლებია. მხარში გვიდგას რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობა და ჩვენი დიდი სურვილია გავამართლოთ მათი ნდობა, გულშემატკივრების იმედები.



⊙ ევროპის წლევანდელ ჩემპიონატში სამი ქართველი ძიუდოისტი მონაწილეობდა, მაგრამ მედლის მოპოვება ვერც ერთმა ვერ შეძლო. მაინც რა მოხდა ბელგრადში?

— ევროპის ჩემპიონატზე კარგა ხანია ასე ცუდად არ გამოვსულვართ. ამ შეჯიბრების შედეგების გაანალიზებისას ნაკრების მწვრთნელები შეეცადნენ ყველაფერი სპორტსმენთა მწვრთნელებისთვის გადაებრალებინათ, მაგრამ, როგორც გაირკვა, საქმე სხვაგვარად იყო; ჩემპიონატისთვის მზადებაში ჩართეს მეცნიერ-კონსულტანტთა ის ჯგუფი, რომელიც ადრე მოცურავეთა ნაკრებს ემსახურებოდა, მთლიანად შეიცვალა მზადების გეგმა, თითქმის ორჯერ გაიზარდა დატვირთვის მოცულობა, რამაც საბოლოოდ უარყოფითი შედეგი გამოიღო: ბიჭები გადაიღალნენ. მხოლოდ ერთი სპორტსმენი, საბჭოთა ჩემპიონი, ლენინგრადელი სოკოლოვი ემზადებოდა ინდივიდუალური გეგმით და აკი გაუმართლა კიდეც. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ყველაფერს არასწორ ვარჯიშს ვაბრალებდე. ეტყობა, ჩვენც მოვაკელით ბიჭებს ყურადღება. ნაკანი და კურტანიძე, რა თქმა უნდა, კვლავ რჩებიან ქვეყნის ნაკრებში, თუმცა თავიანთ წონაში ლიდერის პოზიციების შესანარჩუნებლად თავიდან მოუწევთ ბრძოლა. ამ თვალსაზრისით სპარტაკიადის შედეგებს, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, უფრო მოგვიანებით — სექტემბერში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც ჩატარდება და ბევრი რამ მაშინ გაირკვევა.

ესაუბრა ელგუჯა ბერიშვილი.





ყველა პრიზიორი

სამ სპარტაკიადაში საქართველოს ძიუდოისტებს 17 მედალი აქვთ მოპოვებული, მათ შორის 7 ოქროსი, 4 —ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს ჯილდო.

1975 წ. VI სპარტაკიადა. 63 კგ. 1. ნ. სოლოდუხინი (რსფსრ)... 3. შ. ფიცხელაური (საქართველო), 80 კგ. 1. ა. ვოლოსოვი (რსფსრ)... 3. დ. ხაბულიანი (საქართველო); 93 კგ. 1. რ. ხარშილაძე (საქართველო); მძიმე. 1. ს. ნოვიკოვი (უკრაინა), 2. ჯ. ნიჟარაძე, 3. გ. ონაშვილი (ორივე — საქართველო); აბსოლუტური. 1. ჯ. ნიჟარაძე... 3. შ. ჩოჩიშვილი (ორივე — საქართველო).

1979 წ. VII სპარტაკიადა. 71 კგ. 1. ვ. ნევზოროვი (რსფსრ).... 3. თ. ნამგალაური; 95 კგ. 1. რ. ხარშილაძე (საქართველო). აბსოლუტური. 1. თ. ხუბულური.

1983 წ. VIII სპარტაკიადა. 65 კგ. 1. ი.სოკოლოვი (ლენინგრადი), 2. რ. მარგველანი (საქართველო); 71 კგ. 1. თ. ნამგალაური (საქართველო); 78 კგ. 1. შ. ხაბარელი... 3. დ. ბოდაველი (ორივე — საქართველო); 86 კგ. 1. ვ. პესნიაკი (ბელორუსია), 2. ჯ. მჭედლიშვილი (საქართველო); 95 კგ. 1. ა. იუნუსოვი (ყირგიზეთი), 2. ბ. გოგიჩაშვილი (საქართველო); აბსოლუტური. 1. მ. ბერუაშვილი (საქართველო).

გუნდური ადგილები

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში ძიუდო პირველად 1975 წელს შეიტანეს (VI სპარტაკიადა). ამ შეჯიბრებას წინ უსწრებდა ახალგაზრდობის პირველი საკავშირო თამაშები, რომელმაც ბევრი ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა. ერთ-ერთი მათგანი გორელი თემურ ხუბულური იყო, რომელმაც ახალგაზრდულ თამაშებში მეორე, სპარტაკიადაში კი მესამე საპრიზო ადგილები დაიკავა. მოგვიანებით ხუბულური მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა.

ძიუდო VII სპარტაკიადის პროგრამაშიც იყო შეტანილი (1979 წ.). ამ შეჯიბრებაში პირველობისთვის საბჭოთა ათლეტებთან ერთად საზღვარგარეთის უძლიერესი ძიუდოისტებიც იბრძოდნენ. მათ შორის უძლიერესებმა — იაპონელებმა იასუხირო მორივაკიმ და სეიძო ფუძიმ სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს.

საქართველოს ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაშიც. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში მაშინ გამოდიოდნენ: რამაზ მარგველანი, თამაზ ნამგალაური, შოთა ხაბარელი, დავით ბოდაველი, ჯუმალ მჭედლიშვილი, ბორის გოგიჩაშვილი, აკაკი კიბორძალიძე და მალხაზ ბერუაშვილი (60 კგ წონაში ჩვენ მონაწილე არ გამოგვიყვანია, სამაგიეროდ 78 კგ-ში ორი ძიუდოისტი — შოთა ხაბარელი და დავით ბოდაველი იბრძოდა) საქართველოს ნაკრებმა კარგად ჩაატარა ტურნირი და I ადგილი დაიკავა.

გთავაზობთ რესპუბლიკის გუნდის შედეგებს სპარტაკიადებში:

1975 წ. VI სპარტაკიადა — I ადგილი,

1979 წ. VII სპარტაკიადა — VI ადგილი,

1983 წ. VIII სპარტაკიადა — I ადგილი.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ვიდრე საბოლოოდ გაირკვევა

გუშინ რედაქციაში განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი. სპორტის გულშემატკივრები გვთხოვდნენ აგვეხსნა, რატომ აღმოჩნდა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი V ადგილზე სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში. გუშინვე, მინსკიდან დაბრუნებისთანავე რედაქციაში მოვიწვიეთ საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ომზარ შოშიტაშვილი. აი, რა თქვა მან:

— ჯერ კიდევ სპარტაკიადის დაწყებამდე ერთი წლით ადრე მოსკოვიდან მივიღეთ ამ ასპარეზობის დებულება. ორი თვის წინ ცნობილი გახდა, რომ სპარტაკიადის პარალელურად უნდა ჩატარებულიყო ოთხი შეჯიბრება: მსოფლიოს თასის გათამაშება იუნიორებში, ევროპის პირველობა ახალგაზრდებს შორის, კეთილი ნების თამაშები, მსოფლიო პირველობა ჭაბუკთა შორის. იმის გამო, რომ საკავშირო ნაკრებ კოლექტივებში 14 კანდიდატი გვყავდა, ჩვენი სასპარტაკიადო გუნდი დაიქსაქსა. დასკვნითი საწვრთნელი შეკრების პერიოდში საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ ზუსტად არ იცოდა, ვინ რომელ შეჯიბრებაში გამოვიდოდა და რა პრინციპით მისცემდა გუნდს ჩასათვლელ ქულებს. საკითხის დასაზუსტებლად ერთ-ერთი მწვრთნელი მოსკოვში მივავლინეთ, მაგრამ ოფიციალური განმარტება მხოლოდ გუნდის მინსკში გამგზავრების წინა დღეს მივიღეთ. საკავშირო სპორტკომიტეტის წერილში ნათქვამი იყო, რომ იუნიორთა შორის მსოფლიო თასის გათამაშების მონაწილე სპორტსმენები შესაბამის რესპუბლიკებს მისცემდნენ ქულებს დაკავებული ადგილის მიხედვით, ხოლო ის მოჭიდავეები, რომლებიც ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში გამოვლენ, — მესამე ადგილის შესაბამის ქულებს (25-25 ქულა). იმავე წერილში აღნიშნული იყო, რომ გუნდებს, რომლებიც პარალელურ ჩათვლას იღებდნენ, უფლება ეძლეოდათ სრული შუნდით (10 სპორტსმენი) გასულიყვნენ სპარტაკიადაზე, თუ-ცა განმარტებული არ იყო, ამ თი მოჭიდავიდან კონკრეტულად ისი შედეგები შევიდოდა საერთო ათვლაში. სპარტაკიადის დაწყების წინ მწვრთნელ-წარმომადგენელთა თათბირზე მსჯჯთა მთავარმა კოლეგიამ გამოაცხადა, რომ ჩათვლაში შევიდოდა იმ მოჭიდავეთა ქულები, რომლებიც საუკეთესო შედეგებს აჩვენებდნენ (სხვათა შორის, ძირითადად ეს ეხებოდა სამ ესპუბლიკას, — რსფსრ-ს, საქართველოს და ბელორუსიას). ჩვენ ესსაბერ, შეჯიბრების მთავარ დავანს, მინსკელ ვლადიმერ რუნს ჩავაბარეთ იმ ათი მოჭიდავის ია, რომლებიც სპარტაკიადაზე გავიდოდნენ. პარალელურ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიისა და საქართველოს ნაკრები (გუნდების მწვრთელებმა შეკრებილთ განმარტეს, რომელი მოჭიდავეებისგან ელოდებოდნენ პარალელურ ჩათვლას. ოგორც იქ თქვა, დებულების ესაბამისად, ჩვენს გუნდს ერიებოდა ოთხი შესამე ადგილის ესაბამისი ქულები იუნიორებისა და ახალგაზრდების საკავშირო ნაერებ კოლექტივებში მოჭიდავეთა ვლინებისათვის. ესენი არიან: ვეთ ხურცია (მან იუნიორთა მსოფლიო თასის გათამაშებაში III ადგილი დაიკავა), ეგია მუსოიანი, ბა ტყეშელაშვილი და ლევან ანნოიძე (სამივე მოჭიდავე ამ ონეებში მონაწილეობას მიიღებს ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში). საქართველოს ნაკრების ვრთნელთა საბჭომ ითხოვა, რომ ანნოიძის ჩასათვლელი ქულები ეხსნილიყო და მის ნაცვლად სპარტაკიადის სარბიელზე გამოსულიყო ზაზა თურმანიძე. ეს თხოვნა დაკმაყოფილეს (აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მწვრთნელების გადაწყვეტილება სწორი გამოდგა: თურმანიძემ სპარტაკიადაზე II ადგილი დაიკავა და ჩვენმა გუნდმა 25 ქულის ნაცვლად 30 ქულა მიიღო).

ახლა უშუალოდ შეჯიბრების მსვლელობის შესახებ. მკითხველმა, რა თქმა უნდა, იცის სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები, მაგრამ სურათი რომ ბოლომდე ნათელი გახდეს, აუცილებელია რამდენიმე მომენტს შევეხოთ. შეჯიბრების ნახევარიც არ იყო გასული, რომ გამოიკვეთა სამი ლიდერი: რსფსრ, ბელორუსია და საქართველო. ამ დროს შეჯიბრების მთავარმა მდივანმა, შეიძლება ითქვას, არაოფიციალურად გამოგვიძახა, გვიჩვენა სამი გუნდის (რსფსრ, საქართველო, ბელორუსია) სია და განგვიმარტა, რომ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს გუნდების სიებში არნიშნული არ იყო იმ სპორტსმენთა გვარები, რომლებიც ჩასათვლელ ქულებს მისცემდნენ თავიანთ გუნდებს (თუმცა, ზემოხსენებულ თათბირზე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კოლექტივებს ქულები დაერიცხებოდათ საუკეთესო შედეგების გათვალისწინებით. ისიც უცნაურია, რომ მასპინძელთა გუნდის სიაში შეჯიბრების მეორე დღის ბოლოს რატომღაც ცალკე იყო გამოყოფილი ჩათვლის მიმცემ სპორტსმენთა გვარები. ეს უცნაურია იმიტომაც, რომ სამდივნომ სამივე გუნდისაგან ერთდროულად მიიღო ერთნაირად შედგენილი სიები). ვიმეორებ, ეს საუბარი არაოფიციალურად, რომ იტყვიან, „კულისებში“ გაიმართა. აღნიშნულის გამო ორივე გუნდის წარმომადგენლებმა სამართლიანი პრეტენზიები გამოვთქვეთ. ამის შემდეგ სამდივნომ აზრი შეიცვალა, მაგრამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მაინც მასპინძელთა გუნდის სასარგებლო პოზიციაზე დარჩა: საქმე ის არის, რომ როცა შეჯიბრება დასასრულს მიუახლოვდა და გუნდური ბრძოლის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო (ლიდერობდა რუსეთის ფედერაციის გუნდი, შემდეგ მოდიოდნენ ბელორუსია და საქართველო), ისევ გაგრძელდა კულისებში დაწყებული საუბარი. ბოლოს საქმეში ჩაერია მსჯჯთა მთავარი კოლეგია — ჩვენი რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის გუნდებს ყველა საუკეთესო შედეგი არ ჩაუთვალეს. ჩვენ, მაგალითად, დაგროვილი 239 ქულის ნაცვლად 219 ქულა „დაგვიტოვეს“, რამაც საბოლოოდ მეხუთე ადგილზე გადაგვისროლა (არადა, 239 ქულით გუნდურ შეჯიბრებაში III ადგილს ვიკავებდით).

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს გუნდების წარმომადგენლებმა ოფიციალური პროტესტი დაწერეს, შედეგები ჯერჯერობით ძალაში დარჩა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჭეშმარიტება გაიარკვევა და ჩვენი გუნდი კუთვნილ ადგილს დაიკავებს.

რედაქციისაგან: ამჟამად მინსკში იმყოფებიან სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქველიაშვილი და ჭიდაობის სამმართველოს უფროსი ე. ღუდუშაური. თბილისში მათი დაბრუნების შემდეგ ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა კონკრეტული პასუხი გავცეთ კითხვაზე, რატომ მოხდა გაუგებრობა და პერსონალურად ვინ აგებს პასუხს ორგანიზაციული დაუდევრობისათვის.

საერთაშორისო ფესტივალი ჩვენს ფეხბურთში

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში ამას წინათ გაიმართა თათბირი, სადაც იმსჯელეს ავტონომიური რესპუბლიკის საფეხბურთო კოლექტივებში ფიზიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცების საკითხზე. თათბირზე მიიწვიეს სპორტკომიტეტებისა და სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელი მუშაკები, ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენლები, მწვრთნელები, მსაჯები, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ჟურნალისტები, კომკავშირულ-პროფკავშირული აქტივი, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები.

ინფორმაციით გამოვიდა აჭარის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზ. მამუჭაძე.

საგანგებოდ ილაპარაკეს დისციპლინის დარღვევის საკითხებზე; აღინიშნა, რომ ნაკლოვანებები ჯერ კიდევ სჭარბობს მიღწევებს, აჭარის საფეხბურთო ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბევრი დარღვევა ხდება. განსაკუთრებით გაესვა ხაზი უხეშობას, მსაჯთა დაბალ კვალიფიკაციას, ფეხბურთელთა უღირს საქციელს, სტადიონზე მომხდარ უწესრიგობას.

მაგალითად, აჭარის პირველობაზე ერთმანეთს ხვდებოდნენ ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის კოლმეურნეობისა და ბათუმის „ვოდნიკის“ გუნდები. მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე, როცა ანგარიში იყო 3:2 დაგველთა სასარგებლოდ, „ვოდნიკის“ ფეხბურთელებმა თვითნებურად დატოვეს მინდორი და თამაში ჩაიშალა. მიზეზი? მაყურებელთა უდისციპლინობა. დამნაშავეთა მიმართ შესაბამის ზომებს მიმართეს, მაგრამ თვით მატჩის ჩაშლის ფაქტი, უდავოდ, აღმაშფოთებელია. აღინიშნა, რომ მსაჯები ო. სიორიძე და ნ. მუხაშავრია არ გამოცხადდნენ კალენდარული მატჩების ჩასატარებლად. ხშირია პროტესტები, მწვრთნელებს სათამაშოდ გამოჰყავთ განუცხადებელი ფეხბურთელები, ქედისა და ხელვაჩაურის რაიონებში საერთოდ არა ჰყავთ ფეხბურთის არბიტრები, მაღალი კვალიფიკაციის მსაჯთა აღზრდაზეკი აქაური სპორტული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ.

ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა იმის თაობაზე, რომ ფეხბურთის სათამაშო მინდვრები, სტადიონები კეთმოლმოუწყობელია, ბევრგან არაა მაყურებელთა დასაჯდომი ტრიბუნები, გასახდელები, საშხაპეები, მოუგვარებელია ოსტატთა ახალი შემცვლელი თაობის, პერსპექტიულ ფეხბურთელთა აღზრდის საქმე.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბათუმის „დინამოს“, რომელიც წარმატებით გამოდის I ლიგის საკავშირო ასპარეზობაზე, არ გააჩნია ნორმალური სავარჯიშო პირობები, დაუშვებლად გაჭიანურდა საწვრთნელი ბაზის მშენებლობა, დასამთავრებელია, აგრეთვე, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე. ლაპარაკი იყო ფეხბურთელთა ხულიგნობაზე, მაყურებელთა უდისციპლინობაზე და ბევრ სხვა მსგავს ნეგატიურ მოვლენაზე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. დუმბაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. ცეცხლაძე.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲡ

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომი

„ის, რაც ოქმში არ ჩაიწერა“

საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის ბიურომ მიმდინარე წლის 9 ივლისს იმსჯელა წულუკიძის „დილისა“ და ჭითურის „მაღარიელის“ ფეხბურთელთა შორის საქართველოს პირველობაზე გამართული მატჩის დროს წულუკიძის სტადიონზე მომხდარი უდისციპლინობის შესახებ და სწორად სცნო გაზეთ „ლელოში“ (№ 129) გამოქვეყნებული სტატია „ის, რაც ოქმში არ ჩაიწერა“.

პარტიის რაიკომის ბიურომ წულუკიძის ფეხბურთელთა გუნდს უდისციპლინობის, აგრეთვე, მსაჯების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის აუკრძალა თამაში და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქართველოს სახელმწიფო კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი გუნდის რესპუბლიკური შეჯიბრებიდან მოხსნის შესახებ.

შეჯიბრების დროს ჩადენილი ხულიგნობისთვის წულუკიძის „დილის“ კაპიტანი ბეგლარ ვაშაკიძე, აგრეთვე, წულუკიძის „იმერეთის“ გუნდის წევრი ნესტორ ფარულავა მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

წულუკიძის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ფეხბურთელთა გუნდის „დილის“ მწვრთნელები ბ. უგულავა და რ. ვაშაკიძე გაათავისუფლა სამუშაოდან, „იმერეთის“ მწვრთნელს მ. კვარაცხელიას გამოეცხადა საყვედური, ფეხბურთელები ბ. ვაშაკიძე და ნ. ფარულავა გაირიცხნენ გუნდებიდან.

იმის გამო, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში არაორგანიზებულობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს, არ შეაფასეს მომხდარი ხულიგნობის მნიშვნელობა და რაიონისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს არ მიაწოდეს სათანადო ინფორმაცია, სასჯელი დაედოთ შემდეგ ამხანაგებს: რაიკომის ბიურომ წულუკიძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსს ვ. კვაჭანტირაძეს გამოუცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილეს რ. სანოძეს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ საყვედური გამოუცხადა, ხოლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ თავმჯდომარის ე. კაკაურიძის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულების ნებაყოფლობითი საზოგადოების თავმჯდომარის ნ. ბარამაძის და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების გარესამსახურის უფროსის კ. ტრიფილიადის თანამდებობაზე დარჩენის თაობაზე რაისაბჭოს აღმასკომი და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილება იმსჯელებენ.

ფეხბურთელთა გუნდის „იმერეთის“ დაკომპლექტების საქმეში დაშვებული შეცდომების, მინდორზე მომხდარი ხულიგნური ფაქტის შეუფასებლობისა და იმის გამო, რომ ზემდგომ ორგანოებს არ მიაწოდა სათანადო ინფორმაცია, ფიზიკური კულტურის კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, ამჟამად საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გ. ესებუას გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

რაიონში ფეხბურთის განვითარებისთვის პერსპექტიული ახალგაზრდების შერჩევის, წვრთნისა და აღზრდის საქმეში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებების, გუნდში უდისციპლინობის, სპორტსმენებთან იდეურ-აღმზრდელობითი და ინდივიდუალური მუშაობის, ჩაშლისათვის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს პ. გეგუჩაძეს გამოეცხადა სახტიკი საყვედური. რაიკომის ბიურომ მხედველობაში მიიღო ის, რომ იგი სულ ერთი თვეა, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს.

რაიონის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ზ. მარჯანიშვილს, გუნდის უფროსს ბ. უგულავას მომხდარი ფაქტის დროულად შეუფასებლობის, ფეხბურთელთა კოლექტივის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობისთვის გამოეცხადათ საყვედური, ხოლო ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე ჯ. სანოძე მკაცრად გაფრთხილეს.

არადამკმაყოფილებლად ჩაითვალა განათლების განყოფილების (გამგე ო. ადამია) მუშაობა ახალგაზრდა პედაგოგებთან. სოფ. წითელვარსკვლავის 8-წლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის ნ. ფარულავას მიერ ჩადენილ ხულიგნობას რაიონების სკოლების ყველა პედაგოგიური კოლექტივი მსჯელობის საგნად გახდის.

კომკავშირის რაიონულ კომიტეტს (მდივანი ტ. კოპალიანი) სპორტულ მუშაობაში პაისურობისა და ფეხბურთელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებისა და უყურადღებობისათვის მიეთითა.

რაიკომის ბიურომ არასაკმარისად ჩათვალა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების (გამგე გ. ეძგვერაძე), რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის (ტ. მონიავა) ხელმძღვანელობა და კონტროლი სპორტკომიტეტის მუშაობისადმი და, საერთოდ, სპორტისადმი.

დადგენილება რაიონულ გაზეთში გამოქვეყნდება, მას ყველა პარტიული ორგანიზაცია და შრომითი კოლექტივი გაეცნობა.

კ. კინწურაშვილი,
საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის მდივანი.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲚᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

სიფხიზლეს ნუ მოვაკლებთ

ჩემი აზრით, ფეხბურთს და ფეხბურთელებს მეტისმეტად ველოლიავებით და ვათამაშებთ, ყველაფერი ეს, ცხადია, სიკეთით მოგვდის, მაგრამ შედეგი? მხოლოდ კეთილმა განწყობამ რა შეიძლება მოგვიტანოს? როგორც ჩანს, მოისუსტებს სპორტსმენებთან აღმზრდელობითი მუშაობა.

ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, თორემ, ვინ იცის, სადამდე მივიდოდა საქმე, სპორტსახკომის კოლეგიას დინამოელთა საკითხი საზოგადოებრივ სამსჯავროზე რომ არ გამოეტანა. სიფხიზლე არც მომავალში უნდა მოვადუნოთ. ფეხბურთის ღალატი არავის ეპატიება, დაუნდობლად უნდა ვამხილოთ ისინი, ვინც უსულგულოდ ეკიდება გუნდის ინტერესებს.

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ: „ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ“

ვახტანგ წულაია.

სოხუმი.

ყოველი მატჩი მაღალი პასუხისმგებლობით

რამდენიმე წელია თბილისის „დინამოს“ უპირს. აქა-იქ კარგად ჩატარებული თამაში, უფრო სწორად — მოგება, საქმეს ვერ შველის. „დინამო“ და საშუალო გუნდი? გულშემატკივარი ამას ვერ ეგუება და იგი სწორიცაა. ქართული ფეხბურთი მუდამ იყო ავანგარდში და მომავალშიც ასე უნდა იყოს.

უყურებ დინამოელთა თამაშს და ფიქრობ: ნუთუ გუნდი მინდორზე მარტო მოვალეობის მოხდის მიზნით გამოდის, ნუთუ მისთვის სულ ერთია რა ანგარიშით დამთავრდება თამაში? რატომ არ გრძნობს იგი ყოველ მატჩში მაღალ პასუხისმგებლობას?

გულშემატკივარი ერთ რამეშიც ვერ გარკვეულა: თუ „დინამოში“ თაობათა ცვლის პერიოდია, რაღა საჭირო იყო მისი ვეტერანებით „გაძლიერება“? ჩემი აზრით, ანგარიში უნდა გავუწიოთ ახალგაზრდებს, მათ, ალბათ, უჭირთ საერთო ენის გამონახვა ვეტერანებთან.

ვაქაცურად, შეტი მონდომებით ითამაშეთ ბიჭებო, გულშემატკივრები თქვენთან არიან.

ᲒᲝᲒᲘ ᲭᲘᲜᲭᲐᲠᲐᲣᲚᲘ,
დუშეთის რაიონი, სოფ. ბარისახო.

ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ მაგალითი გვიჩვენეს თბილისის ლენინური კომკავშირის საწყლოსნო კომპლექსის თანამშრომლებმა. აქ მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდა მოცურავის საკავშირო კვირეული. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი დამგვირგვინებელი ნაწილი, რომელიც შაბათ-კვირას გაიმართა. საზეიმოდ მორთულ აუზში, თითქმის მთელი დღის მანძილზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს აქ მომეცადინე ჯანმრთელობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ბავშვთა ცურვის შემსწავლელი ჯგუფების წევრები. შაბათ-კვირას აქ სულ 1300-მდე კაცმა მოიყარა თავი. ბევრისთვის ეს პირველი სტარტები იყო, ზოგი მშთ კომპლექსის ნორმატივებს აბარებდა, ზოგი კი ცისფერ ბილიკებზე „პირად ურთიერთობას“ არკვევდა მეტოქესთან — ერთმანეთს იწვევდნენ სარბიელზე და თავად წყვეტდნენ რომელი სტილითა და რომელ დისტანციაზე გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აუზის ხელმძღვანელობა გამარჯვებულებს სიგელებით აჯილდოებდა.

* * *

ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲘᲡ საკავშირო კვირეული მაღალ დონეზე ჩატარდა ქუთაისშიც, კვირეულის ძირითადი ცენტრი საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი იყო. აქ ბევრი საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიება გაიმართა. 14-15 ივლისს ჩატარდა სპორტსაზოგადოებათა და ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქალაქო სპარტაკიადა ცურვის სხვადასხვა სახეობებში. მოასპარეზენი ორ ჯგუფად გაიყვნენ. პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას“ წარმომადგენლებმა, მეორეში—პურკომბინატის გუნდმა. აქვე, კვირეულის დასკვნით დღეებში მშთ ნორმატივები ჩააბარა ასობით ქუთაისელმა. 19-20 ივლისს მოეწყო მოცურავეთა საჩვენებელი გასოსვლები, რომელშიც ქუთაისელ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისის „დინამოს“ მოცურავეთა სკოლის სპორტული ბანაკის ახალგაზრდა სპორტსმენებმა. მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა „მხიარულმა სტარტებმა“ და სპორტული ოჯახების შეჯიბრებამ. სულ მოცურავის საკავშირო კვირეულში მონაწილეობა მიიღო 1000-მდე ქუთაისელმა. ბევრი მათგანისთვის ეს პირველი შეჯიბრება იყო ცურვაში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

49

20-21 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XVIII ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ 0:2 (0:1). ეს თამაში, უდავოდ, ტურის ცენტრალური მოვლენა იყო. ტორპედოელები ჩემპიონატის ლიდერები არიან, მათ წინააღმდეგ კი გამოდიოდა მოსკოვის „სპარტაკი“, რომელიც ამ მცირე ხნის წინ აუტსაიდერის პოზიციაზე იმყოფებოდა, მაგრამ ზედიზედ რამდენიმე თამაში მოიგო და გათამაშების წამყვან ჯგუფს შეუერთდა. სპარტაკელთა კოლექტივი ამჟამად თაობათა ცვლის პროცესს განიცდის, გუნდში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი მიიწვიეს, რომლებიც ვეტერანებთან ერთად თანდათან აუმჯობესებენ თამაშს და კარგ შედეგებსაც აღწევენ. ამ მატჩში 32-ე წუთზე ანგარიში გახსნა როდიონოვმა, შესვენების შემდეგ კი ტორპედოელთა კარში დანიშნული 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა ჩერენკოვმა — 2:0.

დუბლიორები — 0:1.

„დინამო“ (კიევი) — „ჩერნომორეცი“ 2:1 (0:0). კიეველი შჩერბაკოვის მიერ 52-ე წუთზე გატანილი ბურთი რამდენიმე წუთის შემდეგ გაქვითა მოროზოვმა, ხოლო საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე მიხაილიჩენკომ მეორედ აიღო ოდესელთა კარი.

დუბლიორები — 1:0.

„ნეფთჩი“ — „შახტიორი“ 3:3 (2:1). 2-2 ბურთი გაიტანეს დონეცკელმა პეტროვმა და ბაქოელმა აჰმედოვმა, შემდეგ „ნეფთჩი“ დაწინაურდა პონომარიოვის მიერ გატანილი 11-მეტრიანით, 85-ე წუთზე კი დონეცკელმა დრაგუნოვმა საბოლოო წერტილი დაუსვა შეხვედრის ანგარიშს.

დუბლიორები — 0:0.

„ქაირათი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1 (0:1). პირველი ბურთი დინამოელმა ბულანოვმა გაიტანა, მატჩის დასასრულს კი ანგარიში გაქვითა სალიმოვმა.

მატჩი იმსაჯა სოხუმელმა არბიტრმა ა. მილჩენკომ. მას ეხმარებოდნენ თ. ლაცაბიძე (თბილისი) და ტ. ბეზუბიაკი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 0:2.

„დინამო“ (მინსკი) — „დნეპრი“ 1:1 (1:0). ბურთები გაიტანეს მინსკელმა შიროკიმ და დნეპროპეტროვსკელმა ტარანმა.

დუბლიორები — 1:2.

„არარატი“ — „მეტალისტი“ 1:0 (1:0). ბურთი გაიტანა ვარდანიანმა.

გაიფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელი პეტრენკო.

დუბლიორები — 2:2.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ ᲓᲣᲒᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲗᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲝᲒᲐᲜᲘ

მდგომარეობა 23 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	18	14	2	2	51-20	30
„სპარტაკი“	17	10	4	3	46-21	24
„ჩერნომორ.“	18	8	6	4	30-21	22
„შახტიორი“	16	7	6	3	24-16	20
„ზენიტი“	17	7	5	5	27-22	19
„დინამო“ თბ.	18	7	4	7	20-23	18
„ყაზგირ.“	17	6	4	7	23-22	16
„დინამო“ მ.	16	6	4	6	20-20	16
„ტორპ.“ მ.	17	5	6	6	19-21	16
„მეტალის.“	17	4	8	5	15-15	16
„დინ.“ მნ.	17	3	9	5	14-19	15
„არარატი“	18	5	4	9	13-23	14
„დინამო“ კ.	10	5	3	2	17-14	13
„ტორპ.“ ქ.	18	4	4	10	16-34	12
„ნეფთჩი“	17	2	5	10	10-30	9
„ქაირათი“	17	2	4	11	8-32	8

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ვაკთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს აშშ-ისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის უცხოელი სპეციალისტები ვრცელ და დაწვრილებით კომენტარს უკეთებენ. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამერიკელებმა ესპანეთში სტუდენტური კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები ჩაიყვანეს. მაგრამ ამ გუნდის წევრებს საერთაშორისო ტურნირების გამოცდილება აკლდათ. ამიტომ იყო ამერიკელები ყველა შეხვედრას ერთნაირად თანაბრად და ძლიერად რომ ვერ ატარებდნენ.

აშშ-ის კალათბურთელები ტექნიკური და ტაქტიკური მოამზადებით მუდამ გამოირჩეოდნენ. ამ გუნდმა კი დაცვაშიც საუკეთესო თამაში აჩვენა, პირველ ყოვლისა, მტკიცე და საიმედო პრესინგის ხარჯზე. კარგად იყო მოფიქრებული მათი კონტრშეტევებიც. გუნდი შეტევის ამ ფორმას მუდამ საჭირო შემთხვევაში მიმართავდა და ხშირად წარმატებასაც აღწევდა.

სპეციალისტთა აზრით, შემადგენლობაში ამჯერად არ იყვნენ ვარსკვლავები, თუმცა რობინსონს ან კ. სმითს არც ერთი უმაღლესი კლასის გუნდი არ დაიწუნებდა.

საბჭოთა კალათბურთელებმა, მიმმხილველების აზრით, ფინალი შესაძლებლობებზე სუსტად ჩაატარეს, მაგრამ მთავარი, მათი აზრით, ის იყო, რომ კრიტიკულ მომენტში ლიდერობა ვერც ერთმა კალათბურთელმა ვერ ითავა. მეორე ტაიმის მიწურულში აქტიურობით სხვებზე უფრო მეტად ხომიჩუსი გამოირჩეოდა, მაგრამ ის მაინც არ იყო ჭეშმარიტი ლიდერი.

საბჭოთა კალათბურთელთა მარცხის ერთ-ერთ მიზეზად უმრავლესობას პრესინგის წინააღმდეგ არასწორი და სუსტი თამაში მიაჩნია. ამერიკელთა პრესინგმა გუნდი ჩვეული რიტმიდან ამოაგდო და კალათბურთელებმა თავიანთი მთავარი იარაღი — სისწრაფე დაკარგეს. ფინალურ შეხვედრაში, სპეციალისტთა აზრით, ვერაფრით ვერ გამოიჩინა თავი საბონისმა, რომელზეც გუნდი, არც თუ უსაფუძვლოდ, დიდ იმედებს ამყარებდა.

კომენტატორები დანანებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა გუნდმა თავისი ყველაზე ცუდი თამაში სწორედ ფინალში აჩვენა.

ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ „ᲓᲣᲑᲚᲘ“

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

შესახებ გვექნება საუბარი ინტერვიუში, რომელიც გუნდს მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ჩამოვართვით.

⊙ რამდენადაც ცნობილია, ჩვენმა მესტენდურეებმა ასეთ წარმატებას პირველად მიაღწიეთ. მხედველობაში მაქვს ქვეყნის თასისა და ჩემპიონობის მოპოვება ერთ სპორტულ სეზონში. როდის გაიმარჯვეთ უკანასკნელად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში?

თ. იმნაიშვილი: — ეს იყო 1981 წელს. საერთოდ, ქვეყნის ჩემპიონატები ყოველ მეორე წელიწადს სხვადასხვა პრინციპით ტარდება: ხან სპორტსაზოგადოებების გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ხან — რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივები. იმ „ძველი“ გუნდიდან ორნიღა დავრჩით — მე და გია შენგელია. ტარიელ ყელენტმა და თემურ მატოიანმა, როგორც იცით, აქტიურ სპორტს თავი დაანებეს. 1983 წელს მესამე ადგილი დავიკავეთ, 1985 წელს კი — მხოლოდ მეექვსე.

⊙ შეჯიბრება სპორტსაზოგადოებათა გუნდების მონაწილეობითაც რომ ჩატარებულიყო, შედეგი ალბათ იგივე იქნებოდა. თქვენ ხომ სამივენი დინამოელები ხართ.

თ. იმნაიშვილი—მართალი ბრძანდებით. ჩვენი გუნდი, ვგულისხმობ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებს, სულ ახლახან ჩამოყალიბდა და, როგორც ხედავთ, ცუდად არ გამოვდიგართ ერთად.

⊙ ზოგჯერ გუნდს წარმატებას სიურპრიზად უთვლიან ხოლმე...

ზურაბ მაჩხანელი, საქართველოს მესტენდურეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი: — ჩვენზე ეგ არ ითქმის. უკანასკნელ საწვრთნელ შეკრებაზე ბიჭები ისეთ შედეგებს აღწევდნენ,უკვე დარწმუნებული ვიყავით, რომ საპრიზო სამეულში მაინც მოვხვდებოდით, თუმცა, რა დასამალია, გამარჯვების იმედიც გვქონდა.

⊙ ახლა კი მრგვალ სტენდზე მსროლელთა მწვრთნელს მინდა ვთხოვო, მოკლედ გვაამბოს ასპარეზობის მსვლელობაზე.

ტარიელ ყელენტი: — შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ ერთბაშად ორი გუნდი გვისწრებდა. ორივეს — აზერბაიჯანის გუნდსაც და რუსეთის ფედერაციის ნაკრებსაც 219-219 ქულა ჰქონდათ. ჩვენ და მოსკოველებს კი — ორი ქულით ნაკლები. იმნაიშვილმა 74 სამიზნე დაამსხვრია, შენგელიამ — 73, ქვათაძემ კი — 70...

დავით ქვათაძე: — მართლაც კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი, მაგრამ სტარტზე ყოველთვის ვდელავ ხოლმე, ახლაც ასე დამემართა, შემდეგ კი ყველაფერი კალაპოტში ჩადგა...

ტ. ყელენტი: — მეორე დღეს საქმე მართლაც გამოსწორდა, თუმცა უკანასკნელი სერიების წინ ორი ქულით ისევ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები დაწინაურდნენ. ბოლო სამ სერიაში ჩვენებმა 75-დან 74 თეფში დაამსხვრიეს. ამგვარად, 437 ქულა დაგვიგროვდა და გავიმარჯვეთ — ქულით ვაჯობეთ რუსეთის ფედერაციის გუნდს, ხუთი ქულით — მოსკოველის ნაკრებს.

ზ. მაჩხანელი: — მეც სწორედ ამ ბოლო სერიებზე მინდა ვთქვა. ქვათაძის 25 ზუსტმა გასროლამ და იმნაიშვილის 24 ქულამ იმედი მოგვცა; შენგელიას, რომელიც უკანასკნელი ისროდა, აუცილებლად უნდა დაემსხვრია 24 თეფში, რათა პირველ ადგილზე გასულიყო. გიამ გაუძლო ამ დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვას და ოცდახუთივე თეფში დააზიანა.

გ. შენგელია: — მაშინ მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. მეგონა, რომ გამარჯვებისთვის ოცდახუთივე თეფში უნდა დამემსხვრია და ამისთვის ვემზადებოდი. გამოგიტყდებით, ძალიან ვღელავდი. მე ექიმი ვარ, შეჯიბრების დროს თვითონ ვუწევ ჩემს თავს მეთვალყურეობას. პულსსაც ვითვლი. საერთოდ, ასპარეზობის დროს პულსი 120-მდე მაქვს ხოლმე. მაშინ კი მგონი 200-მდე აიწია და შეშინებულმა დათვლაც კი შევწყვიტე. ბოლო თეფში რომ დავამსხვრიე, მხოლოდ მაშინ მომეშვა გულს.

ტ. ყელენტი: — გიამ მართლაც იმდენი ძალა შეალია გუნდურ ბრძოლას, რომ პირად შეჯიბრებაში ისე ზუსტად ვეღარ ისროდა. არადა, ორი დღის შემდეგ მას 147 ქულა ჰქონდა და თვით თამაზ იმნაიშვილსაც კი უსწრებდა ერთი ქულით.

თ. იმნაიშვილი: — მე კი მუდამ მდევრის როლში ვიყავი. გია მხოლოდ ერთ ქულას მიგებდა, სხვა მეტოქეები ორი-სამი ზუსტი გასროლით იყვნენ წინ. თუმცა ბოლო ორ სერიაში და შემდეგ დამატებითში სამოცდათხუთმეტივე თეფში გავტეხე და 221 ქულით პირველი ადგილი დავიკავე. სულ ერთი ქულით ჩამომრჩა ალექსანდრე შუროვი, ორით — ალექსანდრე როდიონოვი.

დ. ქვათაძე — ახალი წესების მიხედვით, საუკეთესოთა ექვსეულს 200 გასროლის შემდეგ არჩევენ და მათ შორის კიდევ ერთ სერიას აწყობენ. იმნაიშვილი უყოყმანოდ მოხვდა იმ ექვსეულში 196 ქულით. შენგელია 194 ქულით ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ მის მეტოქეებს, რომლებსაც 196-196 ქულა ჰქონდათ უკანასკნელ სერიებში უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდათ და გიას ამით აჯობეს. მე კი ცუდმა დასაწყისმა გამიფუჭა საქმე, თორემ ბოლო ორმოცდაათი გასროლიდან არც ერთი არ ამიცდენია და 31-ე ადგილიდან მეთერთმეტეზე გადავინაცვლე. გიამ მერვე ადგილი დაიკავა.

⊙ სექტემბერში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მესტენდურეთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. ამ წარმატების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონი ალბათ მსოფლიო პირველობაზე გამგზავრების უპირველესი კანდიდატი იქნება.

ზ. მაჩხანელი: — თამაზი ამ შეჯიბრების დაწყებამდეც უპირველესი კანდიდატი იყო. მისი, აგრეთვე ვალერი ტიმოხინისა და ანატოლი ფიოდოროვის განცხადებები მსოფლიო ჩემპიონატზე კარგა ხნის გაგზავნილია. საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ქვეყნის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა რობერტ მიკოლენკომ მითხრა: ამდენი ხანია თამაზს ვადევნებ თვალს და მისი ასეთი სტაბილური გამოსვლა ჯერ არ მინახავსო. ქვეყნის ნაკრების კანდიდატებად ითვლებიან გია შენგელია და დავით ქვათაძე. მალე ეს სამეული და ადგილიდან მსროლელი შოთა თავაძე მონაწილეობას მიიღებენ „მოსკოვის დიდი პრიზის“ გათამაშებაში. ეს შეჯიბრება, რომელშიც ამჯერად 18 ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობაა ნავარაუდევი, მესტენდურეთა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირად ითვლება მსოფლიოში.

თ. იმნაიშვილი: — არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენმა გუნდმა ოთხი კი არა, ექვსი ოქროს მედალი მოიპოვა. გუნდის მომზადებისათვის ასეთივე ჯილდოები გადასცეს ჩვენს მწვრთნელებს ზურაბ მაჩხანელსა და ტარიელ ყელენტსაც.

ესაუბრა
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲜ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ, როგორც ცნობილია, ჩოგბურთელთა მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის — დევისის თასის ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება, მანამდე კი მეოთხედფინალური მატჩები ჩატარდა.

შვეიცარიისა და იტალიის გუნდების შეხვედრაში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. შვედებმა მშრალი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს მეტოქე და ნახევარფინალის საგზური ერთ-ერთმა პირველებმა გაიღიდეს. ასეთივე უპირატესობით წარმართეს თამაში ჩეხოსლოვაკიელებმა იუგოსლავიელებთან. იუგოსლავიელებს ვერც უომბლდონის ტურნირის ნახევარფინალისტმა სლობოდან ჟივოინოვიჩმა უშველა. ჩეხოსლოვაკიის ძლიერმა გუნდმა, რომელსაც სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად, ანგარიშით 5:0 გაიმარჯვა.

ორი სხვა წყვილის ბრძოლაც ერთნაირი შედეგით — 4:1 დამთავრდა. აშშ-ის ჩოგბურთელებმა მექსიკელებს აჯობეს, ავსტრალიელებმა — ინგლისელებს.

ამრიგად, ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან შვეიცარია და ჩეხოსლოვაკიის, აშშ-ისა და ავსტრალიის გუნდები. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორ გათამაშებაში საპატიო პრიზს შვედი ჩოგბურთელები ფლობდნენ.

რედაქტორის მოადგილე
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.